



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

ჯანდაცვის სისტემის
ბანკტიპიცების პროგრამა



საქართველოს შრომის
ბანკტიპიცებისა და
სოციალური დაცვის
სამინისტრო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო



ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემა
„ელექტრონული ჯანდაცვა“

სამედიცინო კლასიფიკატორების მოდული

დეკემბერი

2012

სარჩევი

შესავალი	3
1. ICD10 - კლასიფიკატორი	4
2. NCSP - კლასიფიკატორი	8
3. ICPC-2 - კლასიფიკატორი	10
4. ლაბორატორია	13

შესავალი

კლასიფიკატორების მოდული წარმოადგენს ჯანდაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის ნაწილს. მისი დანიშნულებაა მომხმარებლისთვის დიაგნოზის და/ან ჩარევის არჩევის პროცედურის გაადვილება.

კლასიფიკატორების მოდული განთავსებულია ინტერნეტში „ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის“ პორტალის შემდეგ მისამართზე:

<http://ehealth.moh.gov.ge/Hmis/Classifications/> პორტალს აქვს ყველა გავრცელებული ვებ ბროუზერის მხარდაჭერა და თავსებადია ყველა ოპერაციულ სისტემასთან.

სამედიცინო კლასიფიკატორების მოდულში წარმოდგენილია რამოდენიმე კლასიფიკატორი:

1. ICD10
2. NCSP
3. ICPC-2
4. ლაბორატორიული

1. ICD10 - „ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკატორის მე-10 გადახედვა“. კლასიფიკატორის გამოყენებისათვის მთავარ მენიუში დააჭირეთ ღილაკს "ICD10". კლასიფიკატორი განკუთვნილია როგორც ჰოსპიტალური, ასევე ამბულატორული სექტორისათვის.

2. NCSP – „ჩრდილოეთ ქვეყნების ქირურგიული ჩარევების კლასიფიკატორი“ მთავარ მენიუში "NCSP" ღილაკზე დაჭერით შესაძლებელია ჩატარებული ინტერვენციის (ოპერაციის, გამოკვლევის) კოდის ძიება. კლასიფიკატორი განკუთვნილია ჰოსპიტალური დონის ან მაღალი სადიაგნოსტიკო ტექნოლოგიების მქონე ამბულატორიული დაწესებულებებისთვის.

3. ICPC2 - „პირველადი ჯანდაცვის საერთაშორისო კლასიფიკატორი“.

მთავარ მენიუში ღილაკზე ”ICPC2” დაჭერით შესაძლებელია პირველადი ჯანდაცვის დონეზე საქმიანობის ამსახველი კოდების ძიება. კლასიფიკატორი ICPC2 განკუთვნილია მხოლოდ ოჯახის, უბნისა და სოფლის ექიმებისთვის.

4. ლაბორატორიული - „ლაბორატორიული კვლევების კლასიფიკატორი“.


მთავარ მენიუში ”ლაბორატორია” - ღილაკზე დაჭერით შესაძლებელია ჩატარებული ლაბორატორიული კვლევისა და მისი შესაბამისი კოდის ძიება. კლასიფიკატორი „ლაბორატორია” - განკუთვნილია ჰოსპიტალური დონის ლაბორატორიებისათვის, მაღალი სადიაგნოსტიკო ტექნოლოგიების მქონე ამბულატორიების ლაბორატორიებისთვის. მოთხოვნის/საჭიროების შემთხვევაში კლასიფიკატორით სარგებლობა შეუძლია ყველა ლაბორატორიას.

1. ICD10 - კლასიფიკატორი

კლასიფიკატორი ICD10 გამოიყენება დიაგნოზის ან სიკვდილის მიზეზის კოდირებისთვის.


დაავადებათა კლასების მიხედვით კლასიფიკატორი დაყოფილია 21 კლასად. კლასი 22 ‘U’ გამოიყენება ახალი დაავადებებისთვის და მეცნიერული კვლევებისთვის.


საჭირო დიაგნოზის/კოდის ამოსარჩევად არსებობს 2 ძირითადი გზა.


1. ამოირჩიეთ დასმული დიაგნოზის შესაფერისი კლასი, გახსენით (ჩაშალეთ) სამნიშნა ან ოთხნიშნა კოდი და, თუ კოდთან არსებობს ფანჯარა , ყურადღებით გაეცანით მასში მოთავსებულ ინფორმაციას.

მაგალითად (ნახ. 1): ვიტამინ B12 დეფიციტური ანემია:

ნახატი 1



ამოირჩიეთ დასმული დიაგნოზის შესაფერისი ‘კლასი 3’ – სისხლისა და სისხლძარღვოვანი სისტემის დაავადებები და იმუნური მექანიზმით მიმდინარე ზოგიერთი დარღვევა (D50- D89) ღილაკით , მასში მოთავსებული ინფორმაცია დაგეხმარებათ კოდის სწორად არჩევაში.


2. შეიყვანეთ დიაგნოზის ძირითადი სიტყვა სამიეზო ფანჯარაში ქართული ‘უნიკოდის’ შრიფტის გამოყენებით, გახსნილ ჩამონათვალში აირჩიეთ დიაგნოზი და კოდი, არჩეული დიაგნოზის გასწვრივ გახსენით ფანჯარა . კოდის მართებულად არჩევის მიზნით გასათვალისწინებელია იქ მოყვანილი ინფორმაცია:

- ა) იგულისხმება
- ბ) არ იგულისხმება
- გ) შენიშვნა


მაგალითად (ნახ. 2): მწვავე აპენდიციტი პერიტონიტით


ნახატი 2




ფანჯარაში „ქართული დასახელება“ შეიყვანეთ სიტყვა „აპენდიციტი“ ქართული ‘უნიკოდის’ შრიფტის გამოყენებით, გახსნილ ჩამონათვალში აირჩიეთ დიაგნოზი და კოდი, არჩეული დიაგნოზის გასწვრივ ისარგებლეთ ღილაკით , მოყვანილი ინფორმაცია აუცილებელია კოდის სწორად არჩევისთვის (ნახ. 1).

ნახატი 3





თუ ცნობილია კოდი და გვჭირდება შესაბამისი დიაგნოზის მოძიება, უნდა შევიყვანოთ კოდი ლათინური სიმბოლოებით შესაბამის ფანჯარაში. მიღებული დიაგნოზის გასწვრივ ფანჯარაში  მოთავსებული ინფორმაცია გეხმარებათ კოდის სისწორის შემოწმებაში.

მაგალითად: კოდი O23.0-ის შესაბამისი დიაგნოზი:


მიუთითეთ კოდი 'O23.0', ღილაკით  გახსნილ ფანჯარაში იხილავთ მოცემული კოდის შესაბამისი დიაგნოზის ქართულ დასახელებას - „თირკმლის ინფექციები ორსულობის პერიოდში“ (ნახ. 4).

ნახატი 4



კლასიფიკატორის მომხმარებელს ICD10-ის ნებისმიერ კოდზე შეუძლია კომენტარის გაკეთება. ამისათვის ღილაკით  გაიხსნება ფანჯარა „პირადი ინფორმაცია“ (ნახ. 4.1).

ნახატი 4.1



შეიყვანეთ პირადობის მოწმობის ნომერი და პირადი ნომერი. პირადი ინფორმაციის შევსების შემდეგ ღილაკით „გაგრძელება“ გადადით კომენტარების დატოვების გვერდზე და დატოვეთ შესაბამის კომენტარი(ნახ. 5).

ნახატი 5

ლილაკით  შესაძლებელია მონაცემების გადატანა (ექსპორტირება) ექსელის ფორმატში.

2. NCSP - კლასიფიკატორი

NCSP გვერდზე გადასასვლელად მომხმარებელმა უნდა აირჩიოს შესაბამისი კლასიფიკატორი (ნახ. 5. 1)

ნახატი 5.1

კლასიფიკატორი NCSP განკუთვნილია ჰოსპიტალური დონის ან მაღალი სადიაგნოსტიკო ტექნოლოგიების მქონე ამბულატორიული დაწესებულებებისათვის (ნახ. 6).

ნახატი 6

NCSP_a

სრული კოდი ინგლისური დასახელება ქართული დასახელება მენა

	სრული კოდი	ქართული დასახელება
<input type="checkbox"/>	A	ნერვული სისტემა
<input type="checkbox"/>	B	ენდოკრინული სისტემა
<input type="checkbox"/>	C	თვალი და მისი დანამატები
<input type="checkbox"/>	D	ყური, ცხვირი და ყელი

NCSP მოიცავს 15 ძირითად, 5 დამატებით და 1 დამხმარე თავს. NCSP კლასიფიკატორის მიხედვით პროცედურისთვის მინიჭებული სრული კოდი უნდა იყოს ექვს ნიშნა. არსებობს პროცედურისა და კოდის მოძიების 2 გზა:

1. განსაზღვრეთ, თუ რომელ თავს მიეკუთვნება თქვენს მიერ ჩატარებული პროცედურა. ჩამონათვალში ამოირჩიეთ თქვენს მიერ ჩატარებული პროცედურის აზრობრივად შესატყვისი აღწერილობა და კოდი.

მაგალითად: „ფარისებრი ჯირკვლის ექოსკოპია“. ამოირჩიეთ ენდოკრინოლოგიის თავის აღმნიშვნელ ინგლისურ სიმბოლო 'B', ჩამონათვალში მონიშნეთ თქვენს მიერ ჩატარებული პროცედურის აზრობრივად შესატყვისი აღწერილობა და კოდი. ეს იქნება ფარისებრი ჯირკვლის ულტრასონოგრაფია - BADE1A (ნახ. 7).

ნახატი 7

NCSP_a

სრული კოდი ინგლისური დასახელება ქართული დასახელება მენა

	სრული კოდი	ქართული დასახელება
<input type="checkbox"/>	A	ნერვული სისტემა
<input type="checkbox"/>	B	ენდოკრინული სისტემა
<input type="checkbox"/>	BA	ფარისებრი ჯირკვალი
<input type="checkbox"/>	BAD	ფარისებრი ჯირკვლის დიაგნოსტიკური რადიოლოგია
	<input type="checkbox"/>	BADD00 ფარისებრი ჯირკვლის და პარათირეოიდული ჯირკვლების კტ
	<input checked="" type="checkbox"/>	BADE1A ფარისებრი ჯირკვლის ულტრასონოგრაფია
	<input type="checkbox"/>	BADG00 ფარისებრი ჯირკვლის და პარათირეოიდული ჯირკვლების MRI გამოკვლევა (მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევა)

2. ფანჯარაში "ქართული დასახელება", აკრიფეთ საძიებელი პროცედურის ძირითადი სიტყვის ფუძე, მაგალითად: „წინაგულის აღდგენითი ოპერაცია” მოსაძიებლად აკრიფეთ „წინაგულ” და მიღებული ჩამონათვალიდან მონიშნეთ ჩატარებული პროცედურის აზრობრივად შესატყვისი აღწერილობა და შესაბამისი კოდი.

თუ საჭიროა კოდის მიხედვით პროცედურის მოძიება, ფანჯარაში „სრული კოდი” მიუთითეთ კოდი ლათინური სიმბოლოებით. გაეცანით მითითებული კოდის შესატყვის პროცედურას.

თუ საჭიროა კოდის მიხედვით პროცედურის მოძიება, შეიყვანეთ კოდი (ინგლისური უნიკოდის შრიფტით) ფანჯარაში „სრული კოდი”, დააჭირეთ „V”, და გაეცანით მითითებული კოდის შესატყვის პროცედურას.

მაგალითად (ნახ. 8): JFSF20 ცეკოსტომა

ნახატი 8

The screenshot shows a search interface for medical codes. At the top, there are input fields for 'სრული კოდი' (empty), 'ინგლისური დასახელება' (empty), and 'ქართული დასახელება' (filled with 'წინაგულ'). Below these is a table with columns for 'სრული კოდი' and 'ქართული დასახელება'. The table contains several rows with checkboxes and descriptions:

სრული კოდი	ქართული დასახელება
<input type="checkbox"/> FASE50	სრული ექსტრაკარდიული კავო-პულმონალური კავშირი ფენესტრაციით წინაგულთან
<input type="checkbox"/> FBSN00	ფილტვის არტერიისა და წინაგულს შორის ფისტულის დახურვა
<input checked="" type="checkbox"/> FF	წინაგული, წინაგულთან მუცლის ღრუს ფილტვის ვენები
<input type="checkbox"/> FFSF20	ანასტომოზის შექმნა მარცხენა წინაგულზე ნაწილობრივად ანომალიური ფილტვის ვენებიდან
<input checked="" type="checkbox"/> FHSD	ატრიო-ვენტრიკულური (წინაგულ-პარკუჭოვანი) მუცლის სრული დეფექტის აღდგენა
<input type="checkbox"/> FPSA00	ანტეროსეპტალური ატრივენტრიკულური (მუცლის წინა ნაწილის წინაგულპარკუჭოვანი) გამტარი გზის გამოყვანა
<input type="checkbox"/> FPSA10	პოსტსეპტალური ატრივენტრიკულური (მუცლის უკანა ნაწილის წინაგულპარკუჭოვანი) გამტარი გზის გამოყვანა

3. ICPC-2 - კლასიფიკატორი

კლასიფიკატორი ICPC2 განკუთვნილია ოჯახის, უბნისა და სოფლის ექიმებისათვის (ნახ. 9).

ნახატი 9

ICPC2	
სრული კოდი	ინგლისური დასახელება
ქართული დასახელება	მეზნა
სრული კოდი	
A	ზოგადი ან დაუზუსტებელი
B	სისხლი, სისხლმზადი ორგანოები ან იმუნური მექანიზმები
D	კუჭ-ნაწლავის სისტემა

კლასიფიკატორის გამოყენებით შესაძლებელია მიმართვის მიზეზის, დიაგნოზის ანუ ეპიზოდის დასახელებისა და პროცესის/ჩარევების აღნიშვნა-კოდირება პირველადი ჯანდაცვის დონეზე.

ცალკეა გამოყოფილი ფსიქიკური/ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემების თავები - P და Z.

თავში A წარმოდგენილია ზოგადი ან დაუზუსტებელი სიმპტომები/ჩივილები და ასევე დიაგნოზები, რომლებიც ეხება მთელ ორგანიზმს.

თითოეული თავის სტრუქტურაში გამოყოფილია შემდეგი ბლოკები:

.01-დან - .29-მდე - სიმპტომებისა და ჩივილების აღმნიშვნელი კოდები

.30-დან - .69-მდე - პროცესის/ჩარევის აღმნიშვნელი კოდები

.70-დან - .99-მდე - კონკრეტული დიაგნოზების აღმნიშვნელი კოდები.

თავი Z - სოციალური პრობლემების თავი არ შეიცავს კონკრეტულ დიაგნოზებს.

მიმართვის მიზეზის აღნიშვნა გულისხმობს პაციენტის მოსაზრებას ექიმთან ვიზიტის მიზეზის შესახებ. მიმართვის მიზეზის კოდირებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერი შესაბამისი რუბრიკა და კოდი.

დიაგნოზის ანუ ეპიზოდის დასახელების აღსანიშნავად შეიძლება გამოიყენოთ როგორც „სიმპტომები/ჩივილები“ ყველა თავში აღნიშნული ციფრული ნიშნით 01-დან


29-მდე, ასევე კონკრეტული დიაგნოზები ანალოგიურად ყველა თავში აღნიშნული ციფრული ნიშნით 70-დან 99-მდე.

პროცესის აღსანიშნავად შეიძლება გამოიყენოთ ყველა თავში არსებული შემდეგი რუბრიკები: 30-დან 59-მდე; 62; 66,67, 68.

ელექტრონულ კლასიფიკატორში არსებობს მიმართვის მიზეზის, დიაგნოზის (ეპიზოდის დასახელების) და პროცესის (ჩარევების) მოძიების შემდეგი გზები:


პირველი ხერხი:

მთავარ მენიუში დააჭირეთ ღილაკს ICPC2, განსაზღვრეთ, თუ რომელ თავს მიეკუთვნება თქვენთვის საჭირო დიაგნოზი, სიმპტომი, კვლევა და ა.შ., ამოირჩიეთ შესაბამისი თავის აღმნიშვნელი სიმბოლო. ჩამონათვალში ამოირჩიეთ თქვენთვის საჭირო დიაგნოზის, სიმპტომის ან კვლევის აზრობრივად შესატყვისი აღწერილობა და კოდი.

მაგალითად: „12-გოჯა ნაწლავის წყლული“, თავი D -საჭმლის მომნელებელი სისტემა, მისი შესატყვისი კოდი იქნება D85. არჩეული დიაგნოზის გასწვრივ ისარგებლეთ ღილაკით , მოყვანილი ინფორმაცია აუცილებელია კოდის სწორად არჩევისათვის.

მეორე ხერხი:

მაგალითად: „ჰიპერტენზია“.

ფანჯარაში „ქართული დასახელება“ შეიყვანეთ სიტყვა „ჰიპერტენზია“ ქართული ‘უნიკოდის’ შრიფტის გამოყენებით, გახსნილ ჩამონათვალში აირჩიეთ დიაგნოზი და კოდი, არჩეული დიაგნოზის გასწვრივ ისარგებლეთ ღილაკით , მოყვანილი ინფორმაცია აუცილებელია კოდის სწორად არჩევისათვის.

პროცესის კოდის ასარჩევად საჭიროა ვიცოდეთ, თუ რომელ თავს (ორგანოთა სისტემას) უკავშირდება ჩატარებული კვლევა.

მაგალითად: „სისხლის ანალიზი” კარდიოლოგიური პრობლემის გამო იქნება თავში K- „გულსიხლმარღვთა” და მისი შესატყვისი კოდი იქნება K34. ხოლო „სისხლის ანალიზი” ზოგადი პრობლემის გამო იქნება თავში A და მისი შესატყვისი კოდი იქნება A34 (ნახ. 10).

ნახატი 10

The screenshot shows the ICPC2 search interface. At the top, there are input fields for 'სრული კოდი', 'ინგლისური დასახელება', and 'ქართული დასახელება'. The 'ქართული დასახელება' field contains the text 'ჰიპერტენზია'. Below the search bar, there is a table with two rows of results:

<input type="checkbox"/>	სრული კოდი	ქართული დასახელება
<input type="checkbox"/>	K86	ჰიპერტენზია გართულების გარეშე
<input type="checkbox"/>	K87	ჰიპერტენზია გართულებებით

4. ლაბორატორია


კლასიფიკატორში „ლაბორატორია” წარმოდგენილია 19 ძირითადი თავი, და დანართი, რომელიც შეიცავს მიკროორგანიზმების ჩამონათვალს - ბაქტერიები, ვირუსები, სოკოები, უმარტივესები და ჰელმინთები (ნახ. 11).

ნახატი 11

The screenshot shows the 'ლაბორატორია' (Laboratory) section of the ICD-10 interface. It features search filters for 'სრული კოდი', 'ინგლისური დასახელება', and 'ქართული დასახელება'. Below the filters, there is a table listing various laboratory tests:

<input type="checkbox"/>	სრული კოდი	ქართული დასახელება
<input type="checkbox"/>	თავი 1	სისხლი
<input type="checkbox"/>	თავი 2	სისხლის კოაგულაციის ტარის გამოცდები
<input type="checkbox"/>	თავი 3	ძვლის ტვირთი
<input type="checkbox"/>	თავი 4	შარდი
<input type="checkbox"/>	თავი 5	ვანაფი
<input type="checkbox"/>	თავი 6	კვების მოვლის

ლაბორატორიული გამოკვლევების კლასიფიკატორის მიხედვით კოდის დეტალიზაცია (ნიმუშების რაოდენობა) არ არის შეზღუდული, მაგრამ უმჯობესია ტესტი აირჩიოთ მაქსიმალური სიზუსტით.

თავის დასაწყისში და თითოეულ კოდთან არსებული ღილაკი  შეიძლება შეიცავდეს მნიშვნელოვან ინფორმაციას.

დანართით სარგებლობის წესს განვიხილავთ კონკრეტულ მაგალითზე.

არსებობს ლაბორატორიული ტესტების და მათი შესაბამისი კოდების მოძიების 2 გზა:

პირველი ხერხი:

განსაზღვრეთ, თუ რომელ თავს მიეკუთვნება თქვენს მიერ ჩატარებული ტესტი, შემდეგ დააჭირეთ საჭირო თავის აღმნიშვნელ ლათინურ სიმბოლოს, ჩამონათვალში ამოირჩიეთ თქვენს მიერ ჩატარებული ტესტის აზრობრივად შესატყვისი აღწერილობა და შესაბამისი კოდი.

მაგალითად: „ერიტროციტების რაოდენობის განსაზღვრა სისხლში”

აირჩიეთ სისხლის თავის აღმნიშვნელი აბრევიატურა BL, ჩამონათვალში ამოირჩიეთ თქვენს მიერ ჩატარებული ტესტის აზრობრივად შესატყვისი აღწერილობა და შესაბამისი კოდი.

BL.2.1 - ერიტროციტების რაოდენობის განსაზღვრა სისხლში.

მეორე ხერხი:

ფანჯარაში "ქართული დასახელება", აკრიფეთ საძიებელი პროცედურის ძირითადი სიტყვის ფუძე.

მაგალითად: თუ ეძებთ კვლევას „თრომბოციტების საშუალო მოცულობის განსაზღვრა სისხლში”, მიუთითეთ „თრომბოც“ ფანჯარაში "ქართული დასახელება", მიღებული ჩამონათვალიდან აირჩიეთ ჩატარებული პროცედურის აზრობრივად შესატყვისი აღწერილობა და შესაბამისი კოდი (ნახ. 12).

ნახატი 12

ლაბორატორია

ლაბორატორიის ფილტრი

სრული კოდი ინგლისური დასახელება ქართული დასახელება მენა

დანართების ფილტრი

სრული კოდი ინგლისური დასახელება ქართული დასახელება მენა

სრული კოდი ქართული დასახელება

⊕	თავი 1	სისხლი
⊕	თავი 2	სისხლის კოაგულაციის უნარის გამოკვლევა
⊕	თავი 3	ძვლის ტვინი
⊕	თავი 4	შარდი
⊕	თავი 5	განავალი
⊕	თავი 6	კუჭის შიგთავსი

მიკროორგანიზმის მითითების საჭიროების შემთხვევაში უნდა ისარგებლოთ დანართით. ამისათვის შესაბამის თავში ამოირჩიეთ კონკრეტული ტესტი მაქსიმალური სიზუსტით.

მაგალითად: თავი მიკრობიოლოგია MB

MB.1- ბაქტერიების მიკროსკოპული გამოკვლევები და მისი ჩაშლა MB.1.1 - ბაქტერიების გამოვლენა ნატურ ნაცხებში - კოდის მარცხენა მხარეს არ არსებობს ჩაშლის/ჩაკეცვის ღილაკი , ანუ კოდი აღნიშნავს ტესტს კლასიფიკატორის მაქსიმალური სიზუსტით. კოდის აღმნიშვნელ ლათინურ სიმბოლოსთან დაკავშირებით ისარგებლეთ ღილაკით და შესაბამისად ეკრანის მარჯვენა მხარეს გაიხსნება ჩამონათვალი, სადაც წარმოდგენილი იქნება მიკროორგანიზმების სია. ჩამონათვალში 1-21 გვერდამდე მოთავსებულია ბაქტერიები; 22-37-მდე - სოკოები; 37-41- მდე - ვირუსები.

ანალოგიურად, თავს „პარაზიტოლოგია” ებმის დანართი, სადაც მოთავსებულია ჰელმინტების ჩამონათვალი (გვ. 1-5) და უმარტივესების ჩამონათვალი (გვ. 5-7) (ნახ. 13).

ნახატი 13

ღამორატორის ფილტრი				
სრული კოდი	ინვლსტრი დასახელება	ტროული დასახელება	ტუნა	
დანართის ფილტრი				
სრული კოდი	ინვლსტრი დასახელება	ტროული დასახელება	ტუნა	
სრული კოდი	ინვლსტრი დასახელება	ტროული დასახელება	სრული კოდი	ინვლსტრი დასახელება
თავი 1	სისხლი		HEL.1	Acanthochelonea streptocera
თავი 2	სისხლის კოაგულაციის ტენიის გამოკვლევა		HEL.2	Acanthochelonea (Dipetalonema peritani)
თავი 3	ბულის ტენი		HEL.3	Ancylostoma braziliense
თავი 4	შარდი		HEL.4	Ancylostoma ceylanicum
თავი 5	განავალი		HEL.5	Ancylostoma duodenale
თავი 6	კუჭის შივთისეტი		HEL.6	Angiostrongylus cantonensis
თავი 7	ფუფუნისფორი შივთისეტი		HEL.7	Angiostrongylus costaricensis
თავი 8	ნახველი		HEL.8	Ariakia marina
თავი 9	ლუქვილი (თავფურცის ტენის სიხე)		HEL.9	Armillifer Armillaris
თავი 10	გამომწერი სიხეები		HEL.10	Ascaris lumbricoides
თავი 11	კუჭულატი		HEL.11	Brugia malayi
თავი 12	ბულის სასტეო ორგანოსის გამოწეფნი		HEL.12	Capillaria hepatica
თავი 13	იზმლოლოგური გამოკვლეუბი		HEL.13	Capillaria philippinensis
თავი 14	ციტოლოგური გამოკვლეუბი		HEL.14	Clonorchis sinensis
თავი 15	პირმინალური გამოკვლეუბი		HEL.15	Cysticercus
თავი 16	მკრობიოლოგია			
თავი 17	პარაზიტოლოგია			
PR.1	პარაზიტოლოგია			
PR.1.1	პელმინტების გამოვლენა			
PR.1.1.1	პელმინტებზე ფეკალის მკროსკოპიული გამოკვლევა			
PR.1.1.2	ლენტისტრი ჭიების და მათი ფრინგენტების გამოვლენა ლუბით ან მკროსკოპის მკროე გაფიფებით			
PR.1.1.2	პელმინტების ზრდასრული ფორმების გამოვლენა ლუბით ან მკროსკოპის მკროე გაფიფებით			
PR.1.2	პელმინტებზე ფეკალის მკროსკოპიული გამოკვლევა			
PR.1.3	პელმინტების ხელიფურე კულტურების გამოკვლევა			
PR.1.4	პელმინტების გამოსვლენად იზმნოსკოპიული გამოკვლეუბი			

მიკროორგანოზმების მოძიება შესაძლებელია დანართის თავზე არსებული საძიებო ინსტრუმენტებით.